

მედიაწიგნიერება მოსწავლეთა შემოქმედებითი და კრიტიკული უნარების განვითარებისათვის

ირმა პატარიძე
ქალაქ თბილისის 71-ე საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

*სტატია მომზადებულია სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის მიერ
განხორციელებულ პროექტ „მედიაწიგნიერების ვებპორტალის შექმნის“, ფარგლებში
თბილისი. 2016 წლის იანვარი.*

აბსტრაქტი

სტატიაში ავტორი გადმოსცემს ინტეგრირებული სასწავლო პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების გამოცდილებას. წარმოდგენილი სასწავლო პროექტი მოსწავლეებს უვითარებს კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას, უძლიერებს მედიაწიგნიერების კომპეტენციებს.

პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა შექმნეს მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „ხანი უნდობარი“. ფილმის შექმნამდე გაეცვინენ მხატვრულ და დოკუმენტურ მასალას 1921 წლის საქართველოს ოკუპაციის შესახებ. ამ მიზნით სკოლაში განხორციელდა რამდენიმე საგანმანათლებლო აქტივობა: ვიზიტი ოკუპაციის მუზეუმში, სპექტაკლ „ქაქუცა ჩოლოყაშვილზე“ დასწრება, ჩატარდა თხზულებათა კონკურსი „დაუმთავრებელი ისტორიები“ და ნახატების კონკურსი „ჩემი თვალთ დანახული ოკუპაცია“.

სასწავლო პროექტზე მუშაობისას მოსწავლეები გაეცვინენ ერთსა და იმავე მოვლენაზე შექმნილ მხატვრულ და ისტორიულ მასალას, შეისწავლეს იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური ვითარება და თავად გახდნენ მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის ავტორები. ფილმზე მუშაობისას დაიწერა სცენარი, ტექსტი წამყვანისთვის, შეირჩა დოკუმენტური კადრები და ფოტოები, ასევე მოსწავლეებმა თავად გააცოცხლეს იმდროინდელი ვითარება და ითამაშეს იმდროინდელი საქართველოს მოქალაქეების როლი.

ძირითადი საძიებო სიტყვები

ინტეგრირებული სასწავლო პროექტი, მედიაწიგნიერება, მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი, მეათე კლასი.

შესავალი

როდესაც მედიაწიგნიერების როლზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, ვცდილობთ მოსწავლეებს ვასწავლოთ მედიარესურსების სწორად გამოყენება- გაფილტვრა, ანალიზი და შეფასება. ხშირად ყურადღების მიღმა რჩება ისეთი მნიშვნელოვანი პროცესი, როგორცაა მოსწავლეების მიერ მულტიმედია რესურსების შექმნა და გაზიარება. აღსანიშნავია, რომ მულტიმედია რესურსების შექმნის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად სასწავლო პროექტი მოიაზრება. პროექტზე მუშაობისას კი მოსწავლეებს უვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარი.

მულტიმედია პროდუქტის შექმნამდე მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით ეცნობიან ერთსა და იმავე მოვლენაზე შექმნილ მხატვრულ ტექსტებსა და ისტორიულ დოკუმენტებს, მედიასივრცეში არსებულ ფოტო და ვიდეო მასალებს; კრიტიკულად განიხილავენ ავტორთა შეხედულებებს და აფიქსირებენ საკუთარ სუბიექტურ მოსაზრებას. რა თქმა უნდა, ამ დროს ძალიან მნიშვნელოვანია მედიაწიგნიერების როლი, ეთიკა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოსწავლეებს ვასწავლოთ არა მხოლოდ მედიასივრცეში არსებული ინფორმაციის დეტალური განხილვა, მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამოყოფა, არამედ მათ განვუვითაროთ პასუხისმგებლობის გრძნობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა თავად ხდებიან მედიაპროდუქტის ავტორები. მოსწავლეებმა კარგად უნდა გაიაზრონ მედიაპროდუქტის შექმნის მიზანი, მოსალოდნელი რეაქცია, რაც შეიძლება მოჰყვეს მათ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას.

მედიაწიგნიერ გარემოში აღზრდილი მოზარდი აქტიურ მოქალაქედ ყალიბდება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დემოკრატიული განვითარების გზაზე მყოფი ქვეყნისთვის.

სასწავლო პროექტის განხორციელებისას მნიშვნელოვანია, მხედველობიდან არ გამოგვრჩეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოსალოდნელი შედეგები და ასევე მედიაწიგნიერების მიზნები.

წარმოდგენილი სასწავლო პროექტის სასწავლო მიზნებია:

ქართ. X. 8. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმოებების, პუბლიცისტური თხზულებების წაკითხვა და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საუბრობს იმის შესახებ, თუ რაზე დააფიქრა მხატვრულმა თუ პუბლიცისტურმა თხზულებამ;
- აკრიტიკებს ან იზიარებს ნაწარმოების პერსონაჟის ან ავტორის შეხედულებებს (მოჰყავს ციტატები ტექსტიდან საკუთარი აზრის ნათელსაყოფად);
- მსჯელობს პრობლემაზე, რომელიც დაინახა თხზულებაში;
- საუბრობს იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება / არ შეესაბამება ის, რაც თხზულებაშია ასახული, მის პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებას ან შეხედულებებს.

ქართ. X. 16. მოსწავლეს შეუძლია წერის სტრატეგიების გამოყენება ნაწერის ორგანიზებისათვის.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ

- წინასწარ აგროვებს მასალას (ციტატებს ნაწარმოებებიდან, მკვლევართა მოსაზრებებს, ისტორიულ ფაქტებს და სხვ.);

ქართ. X. 12. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ტექტის შექმნა მოცემული პირობის ან მოდელის მიხედვით

მედიაწიგნიერების მიზნებია:

- სიტყვების ძალის გაცნობიერება, მედიაპროდუქტში გამოყენებული ვიზუალური ხატების აუდიტორიაზე ზეგავლენის შეფასება;
- მედიაში გამოყენებული ამბის მოყოლის სხვადასხვა ტექნიკის ანალიზი.

მეთოდოლოგია

სასწავლო პროექტ „ხანი უნდობარის“ მიზანი იყო:

მოსწავლეებს შეესწავლათ საქართველოს ისტორიის ტრაგიკული ფურცელი, კონკრეტულად, 1921 წლის 25 თებერვალი, წითელარმიელების შემოსვლა თბილისში და ამის შედეგად საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა; გაეაზრებინათ ამ მოვლენის მიზეზი და შედეგი, გაეცოცხლებინათ ზემოთ აღნიშნულ თემაზე შექმნილი კონსტანტინე გამსახურდიას მოთხრობა „დიდი იოსები“ და საკუთარი სათქმელი საავტორო მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის სახით გამოეხატათ.

სასწავლო პროექტის განხორციელებისთვის შეიქმნა სამოქმედო გეგმა, რომელიც გზადაგზა ცვლილებებსაც განიცდიდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ფილმის სცენარზე ვმუშაობდით, ვეძიებდით მედიასივრცეში არსებულ ფოტო და ვიდეო მასალებს, ვმსჯელობდით რომელი მუსიკა დაგვეხმარებოდა მთავარი სათქმელის უკეთ გამოხატაში და ვამონტაჟებდით სხვადასხვა ეპიზოდს.

მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილი იყო გამოხატვის თავისუფლება. ბუნებრივია, გავიაზრეთ შესაძლო რისკებიც, თუმცა, გამოწვევებს არ შევუშინდით, რადგან ჩავთვალეთ, რომ ნაწარმოებში დასმული პრობლემა დღესაც აქტუალურია და აუცილებელი იყო ჩვენი სათქმელი ხმამაღლა გვეთქვა.

იმისათვის, რომ ჩვენი საბოლოო პროდუქტი ფასეული ყოფილიყო, აუცილებლად მივიჩნიეთ, დაგვეგეგმა სხვადასხვა აქტივობა. მთავარი მაინც ისტორიასთან ინტერგაცია იყო.

პროექტის სამოქმედო გეგმა:

ისტორია: მოსწავლეებმა შეისწავლეს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია 1921 წლის 25 თებერვალს. ოკუპაციის შედეგად კი ქართველმა ხალხმა დაკარგა მოპოვებული თავისუფლება და ქვეყანა კვლავ ანექსირებული და ოკუპირებული გახდა საბჭოთა რუსეთის მიერ.

ვიზიტი ოკუპაციის მუზეუმში: მოსწავლეებმა საკუთარი თვალთ ნახეს დოკუმენტური მასალები - იუნკერთა ფოტოები, ხიშტები, ვაგონი, რომელშიც ბოლშევიკებმა დაუნდობლად ჩაცხრილეს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ქართველები.

ირმა პატარიძე

მედიაწიგნიერება მოსწავლეთა შემოქმედებითი და კრიტიკული უნარების განვითარებისათვის

მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“: მოსწავლეები ერთობლივად დაესწრნენ სპექტაკლს. მეორე დღეს მოეწყო სპექტაკლის განხილვა. მოსწავლეებმა დაახასიათეს ისტორიული პერსონაჟები. აღნიშნეს, რა იყო მათთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო; განსაკუთრებით დასამახსოვრებელი აღმოჩნდა ემიგრაციაში სიკვდილთან მებრძოლი ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახე; ასევე ახალგაზრდების მოძღვარი და მეგობარი- ექვთიმე თაყაიშვილი და სხვ.

თხზულებათა კონკურსი „დაუსრულებელი ისტორიები“: სკოლის მასშტაბით გამოცხადდა თხზულებათა კონკურსი, სათაურით: „დაუსრულებელი ისტორიები“. კორკუნსანტებმა წარმოადგინეს ოკუპაციის თემაზე შექმნილი თხზულებები, რომლებშიც მხატვრულად წარმოადგინეს საკუთარი მოსაზრებები ოკუპაციის თემაზე. საკონკურსო ნამუშევრები შეაფასა სპეციალურმა ჟიურიმ.

თხზულებები შეფასდა წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით:

	თხზულებათა შეფასების კრიტერიუმები	ქულა
1.	თხზულება უნდა ეხებოდეს ოკუპაციის თემას	3 ქულა
2.	იყოს ორიგინალური და შემოქმედებითი	2 ქულა
3.	ჩანდეს ავტორის ზოგადი განათლება	2 ქულა
4.	დაცული იყოს ქართული სალიტერატურო ენის ნორმები (მორფოლოგიური, სინტაქსური, ორთოგრაფიული, სტილისტური).	2 ქულა

ნახატების კონკურსი, სათაურით „ ჩემი თვალთ დაწახული ოკუპაცია“:

გამოცხადდა სასკოლო კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა პროექტში მონაწილე მოსწავლეებმაც მიიღეს. ბევრი საინტერესო მასალა დაგვიგროვდა. საკონკურსო ნამუშევრები ასევე შეაფასა სპეციალურმა ჟიურიმ. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სიგელებით.

უფრო დეტალურად შემოგთავაზებთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ მოვამზადეთ მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი.

მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის „ხანი უნდობარის“ მომზადება

შევეცადეთ, ფილმის შინაარსი დაგვეკავშირებინა მოსწავლეთა გამოცდილებასთან, გავითვალისწინეთ, რა ჰქონდათ სკოლაში ნასწავლი და რა ახალი ცოდნა შეიძინეს პროექტის ფარგლებში.

თავდაპირველად ვიმსჯელებთ სცენარზე: აღსანიშნავია, რომ ფილმში ზოგიერთი მედიარესურსი სრულად არ არის გამოყენებული, ფრაგმენტულად ვიღებდით იმ მონაკვეთებს, რომლებიც ჩვენთვის იყო საინტერესო. მთავარი იყო, გვეჩვენებინა დამოუკიდებელი საქართველო, წითელი არმიის შემოსვლა თბილისში, საქართველოს მთავრობის მიერ ქვეყნის დატოვება, ასევე, დღევანდელი საქართველო - პრობლემებითა და ფასეულობებით.

მოვამზადეთ წამყვანთა ტექსტი. მოსწავლეებმა იხელმძღვანელეს საქართველოს ისტორიის ოთხტომეულის IV ტომით (ავტორები: პროფესორი ალექსანდრე ბენდიანიშვილი, პროფესორი ალექსანდრე დაუშვილი, პროფესორი მაყვალა ნაცმენაძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი, თბილისი 2012)

წამყვანები საუბრობენ, რომ 1917 რევოლუციის შედეგად დაიშალა ამიერკავკასიის ფრონტი, რის შემდეგ დამფუძნებელმა კრებამ საქართველო სუვერენულ სახელმწიფოდ გამოაცხადა. ერთა ლიგამ სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ ქვეყნის შიგნით არსებული სეპარატისტული ძალები და საგარეო ვითარება ქვეყანას მრავალი გამოწვევის წინაშე აყენებდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 1918 წლის 26 მაისს საქართველოს მთავრობამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ კი იმპერიის აღდგენა დაისახა მიზნად. 1921 წლის 11 თებერვალს ლორეს რაიონში აჯანყებულმა გლეხებმა დასახმარებლად რუსეთს მიმართეს, რაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ რუსეთს ღია აგრესია დაეწყო კავკასიაში. ნოე ჟორდანიას მთავრობა ბრძოლისთვის მზად არ იყო, უფრო მეტიც, არც მუდმივი ჯარი გვყავდა. ამიტომ რუსეთის მეთერთმეტე წითელმა არმიამ სამი მხრიდან გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი და მალევე მოუახლოვდა თბილისს. მტერი იუნკერთა მოსალოდნელ წინააღმდეგობას არაფრად თვლიდა და ამიტომაც წერდა გახარებული სერგო ორჯონიკიძე სტალინს, რომ თბილისს დათქმულ დროზე ადრე - 15 თებერვალს- აიღებდა. აღსანიშნავია, რომ იუნკერებმა მედგარი წინააღმდეგობა დაუწიეს მტერს, მაგრამ მათი რესურსი იწურებოდა, წითელარმიელებს კი ახალი დივიზიები ემატებოდა. კოჯორისა და ტაბახმელას ბრძოლებში თითქმის სრულიად განადგურდა იუნკერთა რაზმი. 1921

წლის 25 თებერვალს წითელი არმია თბილისში შემოვიდა - თბილისი დაეცა. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა ბათუმიდან გაიქცა.

გთავაზობთ ამონარიდებს კონსტანტინე გამსახურდიას მოთხრობა „დიდი იოსებიდან“ რომლებიც გავაცოცხლეთ ფილმში.

კონსტანტინე გამსახურდია „დიდი იოსები“

თვალები ქალაქის ციფერბლატს მისჩერებოდნენ. ელოდნენ ათასების თვალები: როდის დაჰკრავდა თორმეტჯერ.

შეინძრა უშველებელი საათის ისარი, თითქოს სული ჩაიდგაო, თორმეტჯერ დარეკა.

დამფრთხალი მოქალაქენი საშინელი ამბების მოლოდინში იყვნენ.....

აიყარნენ მცხოვრებნი, ნაყარ ფუტკარსავით, აზუზუნდნენ, აბორგდნენ, აზვავდნენ.... აღარ იცოდნენ, სად შეენახათ პატიოსანი თვლები, ნოხები, ფაიფურის ჭურჭლები და საგანძური.

ვისაც გული საგულეს ჰქონდა, ვისაც დასაკარგავი არაფერი გააჩნდა, მოედანზე იდგა რაღაც საოცარისა და არნახულის მოლოდინში...

ქუჩაში სინათლემ იკლო. საბუღრაოდ გამოსულ მოზვრებივით ღმუოდნენ მაფრაშებით, სკივრებით დატვირთული ავტომობილები. ცეცხლოვან თვალებს უბრიალებდნენ ერთიმეორეს, ჩაბლაოდნენ ყურში ბნელ ღამეს და გარბოდნენ.

გარბოდნენ ბარგით დატვირთული ჟოკეიანი, ბლუზიანი მოქალაქეები, მიჰქროდნენ ეტლები, ზუზუნებდა მოედანზე მდგარი ბრბო, გასცქეროდა ქალაქის გამგეობის აივნებს, ყაყანებდა, როგორც პილატეს მომლოდინე ებრაელობა დიდ პარასკევს.

ფუნიკულიორის სადგურის ლიფლიფებიც ჩაქრა. მამადავითი გაშვდა, გაიზარდა, ჰარპურნაკრავი გველეშაპივით გაიბერა და გვერდით მოუწვა დაბნელებულ ქალაქს.

ლანდები მოედანზე ირეოდნენ. ჩოჩქოლი იზრდებოდა, კამათი ყვირილით თავდებოდა...

ქსენიევის ქუჩის კუთხიდან შავებით მოსილი, ორ ჯოხზე დაყრდნობილი, უსინათლო დედაკაცი მოდიოდა, გულამომჯდარი სლუკუნებდა. უმწეოდ უშტერებდა ელექტროთი გაჩაღებულ ქუჩას მარლია თეთრ თვალებს. „გამქურდეს, მიშველეთ,“ - ბუტბუტებდა სასოწარკვეთილი, მაგრამ ვის ეცალა გასაკითხად... იჯდა და სტიროდა ჩუმად, ადგილის დედას მიაგავდა საქართველოსას, საკუთარი შვილების მიერ გაძარცვულსა და ყელგამოჭრილს (ნათელა მაღლაკელიძე, თამარ ლონღაძე, ქართული ენა და ლიტერატურა, 8, მოსწავლის წიგნი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2012, გვ.156-157; გვ.163).

უცხო სიტყვათა ლექსიკონი:

ანექსია- შეერთება"

ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიის თავის ტერიტორიასთან ძალით შეერთება, დაპყრობა.

მეკურტნი-კურტნით ტვირთის მზიდავი მუშა, კურტანი - საზურგე ადამიანის მიერ ზურგით ტვირტის საზიდად.

მაფრაშა-ფარდაგის მსგავსი ქსოვილისაგან შეკერილი განიერი ოთხკუთხა ტომარა.

საბულრაო- რქითა და ტორით მიწის მთხრელი (ითქმის ხარზე შეჭიდების წინ).

ჟოკეი-პროფესიონალი მხედარი, რომელიც დოღში მონაწილეობს; აქ: მამაკაცის ზედა ჩასაცმელი.

პილატე-მთავარი მსაჯული იუდეველთა ქვეყანაში, რომელსაც მოჰგვარეს უდანაშაულო იესო გასასამართლებლად, მან კი მსჯავრის დადება ხალხს მიანდო, რათა თვითონ პასუხისმგებლობა აერიდებინა.

ჰარპუნი-სატყორცნი იარაღი (ბარჯი), რომელსაც იყენებენ ვეშაპებსა და დიდ თევზებზე სანადიროდ.

მოშაინე-სეირის მაყურებელი (გურულ დიალექტზე).

ირმა პატარიძე
მედიაწიგნიერება მოსწავლეთა შემოქმედებითი და კრიტიკული უნარების განვითარებისათვის

ვაშკარანი-„ესე ზოგადი სახელი არს ყოველთა შთასადებელთა: ტომარათა და მისთანათ,,
(სულხან-საბა).

წითლები-იგულისხმებიან ბოლშევიკები.

ბოლშევიკი- რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის რევოლუციური უმრავლესობის წევრი.

მოსწავლეები გაეცნენ მულტიმედია ტექსტის შექმნის ტექნიკას, გაიაზრეს სიტყვის, ვიზუალური გამოსახულებების, ხმისა და მუსიკის გავლენა მაყურებელზე ქვემოთ მოცემული კონცეფციის მიხედვით:

1. ვინ არის მედიაპროდუქტის ავტორი?

მედიაპროდუქტის ავტორები არიან მოსწავლეები.

2. რისთვის შეიქმნა? რა არის მიზანი?

მაყურებელს გააცნოს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის ისტორია.

3. რა გავლენას მოახდენს მაყურებელზე? რა არის ძირითადი გზავნილი?

ვიდეოს ძირითადი გზავნილი უნდა იყოს საქართველოს დამოუკიდებლობის მნიშვნელობის გააზრება.

4. როგორი პროდუქტი უნდა შევქმნა, რომ მიზანს მივაღწიო?

ფილმი ემოციურ ზეგავლენას უნდა ახდენდეს მაყურებელზე, შეიცავდეს კადრებს, ახლდეს მუსიკა.

5. რა იდეების, ღირებულებების გავრცელებას შეუწყობს ხელს შექმნილი მედიაპროდუქტი?

ქვეყნის დამოუკიდებლობა არის კულტურული და ეკონომიკური განვითარების გარანტი, ამ ბრძოლას ბევრი მამულიშვილის სიცოცხლე შეეწირა.

6. რა ტექნიკა უნდა გამოვიყენო მაყურებელზე ზემოქმედების მიზნით?

ფილმის შინაარსი დაფუძნებულია დოკუმენტურ კადრებზე, ფოტოებსა და მოსწავლეების მიერ გაცოცხლებულ სცენებზე. მოსწავლეებმა გააცოცხლეს იმდროინდელი ქართველების განცდები. მუსიკა შერჩეულია კადრის შინაარსიდან

გამომდინარე. მოსწავლეებმა გადაწყვიტეს, ფილმი იმედისმომცემი ყოფილიყო. მართალია, ოკუპაცია ისევ გრძელდება, თუმცა, ფილმის ფინალი იმედისმომცემია - თავისუფალი ქვეყნის თავისუფალი შვილები რწმენითა და სიყვარულით შეძლებენ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას; მტრისა და საკუთარი შვილებისაგან შეურაცხყოფილი ადგილის დედის ღიმილიც ამის დასტურია.

მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის „ხანი უნდობარის,, შინაარსი

ფილმი ოთხი ნაწილისგან შედგება. ფილმში მოსწავლეებმა გამოიყენეს ისტორიული კადრები, რომლებიც ასახავს დამოუკიდებელი საქართველოს თავისუფალ მოქალაქეებსა და წითელარმიელების შემოსვლას თბილისში, როგორცაა:

1. ოკუპაციის დღე - 1921 წლის 25 თებერვალი- <https://www.myvideo.ge/v/2026414>;
2. გახსოვდეს შენი ისტორია! 25 თებერვალი 1921 წელი- <http://www.newposts.ge/?id=7894>
3. February 25 - Day of Soviet Occupation of Georgia - documentary movie (2013)- <https://www.youtube.com/watch?v=OuKL-ViG2W4>

ასევე მოძიებული იქნა ოციანი წლების თბილისის ყოველდღიურობის ამსახველი ფოტოები:

1. [ოციანი წლების თბილისი პარლამენტის ბიბლიოთეკა¹](#)
2. [ძველი თბილისის ფოტოები google-ს საძიებო სისტემით²](#)

1

https://www.google.com/search?q=ოციანი+წლების+თბილისი+პარლამენტის+ბიბლიოთეკა&client=opera&hs=m5g&source=lnms&tbm=isch&sa=X&ved=0ahUKEWjPiP36wJ3KAhUI3SwKHd1cBCQQ_AUICSgC&biw=1242&bih=539#imgdii=ghk5VxTfuRMXgM%3A%3Bghk5VxTfuRMXgM%3A%3BK5MTwQG7_ofGbM%3A&imgcr=ghk5VxTfuRMXgM%3A

2

https://www.google.com/search?client=opera&hs=3UM&biw=1242&bih=539&tbm=isch&sa=1&q=დუქნები+თბილისში&oq=დუქნები+თბილისში&gs_l=img.3...7828.37360.0.39081.0.0.0.0.0.0.0...0...1c.1.64.img..0.0.0.1QjAc5Czrj8#imgdii=KRC9DPAkvUjYcM%3A%3BKRC9DPAkvUjYcM%3A%3B5x6Gnckwp5TajM%3A&imgcr=KRC9DPAkvUjYcM%3A

ირმა პატარიძე

მედიაწიგნიერება მოსწავლეთა შემოქმედებითი და კრიტიკული უნარების განვითარებისათვის

ფოტოები ასახავს ქართულ გვარდიასა და ოციანი წლების თბილისის მოქალაქეებს, მათ ყოველდღიურ საქმიანობას.

ნაწილი პირველი: 1921 წლის 25 თებერვლამდე.

სცენარი: პირველ ნაწილში ნაჩვენებია დამოუკიდებელი საქართველოს დოკუმენტური კადრები, ქართული გვარდია და დემონსტრაცია. მოსწავლეების მიერ დადგმული სცენა და ორი წამყვანის მიერ იმდროინდელი საქართველოს მდგომარეობის მიმოხილვა. ამ ნაწილს ფონად მხიარული და ოპტიმისტური მუსიკა გასდევს.

მოსწავლეებმა თავადვე გააცოცხლეს თავისუფალ მოქალაქეთა სახეები.

შეირჩა ორი წამყვანი, რომელთა მოვალეობაც იყო წინასწარ მომზადებული ტექსტის³ წაკითხვა. ტექსტში მოსწავლეები ყვებიან, რა მდგომარეობა იყო საქართველოში, ქართული ჯარისა და ქართველი იუნკერების შესახებ და მენშევიკური მთავრობა იძულებული გახდა, გაქცეულიყო, ოკუპაცია გარდაუვალი იყო. მოსწავლეებმა იფიქრეს, რა სახის მუსიკა უნდა დაედოთ კადრებისთვის. არჩევანი ოპტიმისტურ და მხიარულ მუსიკაზე შეჩერდა. ამ არჩევანით მოსწავლეებმა გაიაზრეს, რომ მათი მთავარი გზავნილი მაყურებლისთვის იყო: თავისუფლება ყველაზე ძვირფასია - თავისუფალი ქვეყანა კი ბედნიერი.

წამყვანთა საუბარი დამაჯერებელია. ისინი ესაუბრებიან აუდიტორიას და სურთ განამტკიცონ მოსაზრება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა იმ დროის მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო.

ნაწილი მეორე - 1921 წლის 25 თებერვალი

ფილმის მეორე ნაწილი სერგო ორჯონიკიძისა და სტალინის მიმოწერით იწყება.

წამყვანები სკოლის ბიბლიოთეკიდან მაყურებლებს ესაუბრებიან, როგორ მოხდა საქართველოს ოკუპაცია. თუ დამოუკიდებელი საქართველოს აღწერისას წამყვანები მოძრაობენ, რაც კადრს დინამიურს ხდის, ოკუპაციის აღწერისას მოსწავლეები წიგნების გარემოცვაში ცდილობენ, დამაჯერებლად გვესაუბრონ ოკუპაციის მიზეზებსა და შედეგებზე.

ოკუპაციის ამსახველი ვიდეოკადრებიდან მოსწავლეებმა შეარჩიეს ეკლესიის ნგრევის

³ ტექსტი მასალას თან ახლავს

კადრი. მას ომის ამსახველი კადრები მოსდევს, ასევე ჩანს სერგო ორჯონიკიძეც, რომელიც ბედნიერი სახით დგას თბილისის ქუჩებში.

ნაწილი მესამე: 25 თებერვლის შემდეგ...

მესამე ნაწილი საათის რეკვით იწყება, მოსწავლე კითხულობს ამონარიდს „დიდი იოსებიდან. ქალაქში დარჩენილი შეშინებული, დამფრთხალი მოქალაქეები საათის ციფერბლატს მისჩერებოდნენ და ასე ელოდნენ მოსალოდნელ განსაცდელს, სწორედ ის მოქალაქენი, რომლებიც რამოდენიმე ხნის წინ საკუთარი ხვედრით ბედნიერნი და კმაყოფილნი ეწეოდნენ ცხოვრების ჭაპანს.

მოსწავლეებმა აქაც გააცოცხლეს იმ მძიმე დღეების კადრები, თავად ითამაშეს იმდროინდელი მოქალაქეების როლი. თოვლიანი საქართველოს ფონზე წამყვანი კითხულობს კოლაუ ნადირაძის ცნობილ ლექსს „25 თებერვალი:

*თოვდა... და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
ბილ-ღვიძლად იგო ქალაქი ჩვენი,
საშინელებას კვლავ სჭედდა გრდემლი –
ისევ გოლგოთა, სისხლი და ცრემლი!
მშობელო დედავ, ისევ გაგყიდეს,
ისევ წამების ჯვარი აგვიდეს,
არ შევიბრალებს, კვლავ არ დაგინდეს!
თოვდა და თბილისს ებურა თალხი.
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
დაცხრა კოჯორი და ტაბახმელა,
მხოლოდლა თოვლი ცვიოდა ნელა,
ეფინებოდა გმირების გვამებს –
განგმირულ მკერდებს, დალეწილ მკლავებს,
და უძრავ იყო თებერვლის ღამე.
თოვდა... და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
იმ გზით, სად წინათ ელავდნენ ხმლები,
სად სამას გმირთა დაიფშვნა ძვლები,
სად ქართლის დედის ცრემლით ნანამი,
მძიმედ დაეშვა ჩვენი ალამი,
სად გმირთა სისხლით ნაპოხიერი,
თოვლს დაეფარა კრწანისის ველი, –
წითელი დროშით, მოღერილ ყელით,*

*თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით
შემოდოდა სიკვდილი ცელით!
თოვდა... და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი!
1969*

ფილმის სიუჟეტი ბათუმში გრძელდება, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა სწორედ აქედან ტოვებს ქვეყანას, ისინი ემოციურად მძიმე მდგომარეობაში არიან.

მესამე ნაწილს არაფრისმთქმელი ხმაური ასრულებს, რაც ჩვენი ქვეყნის მორიგი ანექსიის სიმბოლური გამოხატულებაა - სამოცდაათი წელი საქართველო სწორედ სიბნელისა და უმეცრების, უღმერთობის ტყვეობაში იმყოფებოდა.

ნაწილი მეოთხე: ახალი დროება

მეოთხე ნაწილის პირველ კადრში ჩანს საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, ის თავის ისტორიულ სიტყვას ამბობს, როდესაც საქართველომ 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე მოიპოვა ნანატრი თავისუფლება. ამ კადრს მოსდევს თანამედროვე საქართველოს კადრები.

წამყვანი კითხულობს ილია ჭავჭავაძის ცნობილ ლექსს პოემა „აჩრდილიდან,,

*დედაო ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია...
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულს ხალხსა;
საღმრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,
ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდე მოწყალე თვალსა!
რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა,
მოეცი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგომისა,
სახელოვანი განუახლე წარსულთ დღეთ ყოფა,
მამაპაპური სული, გული, მოჰმადლე შვილსა.
ძლიერო ღმერთო! შენთვის ბრძოდნენ ქართველისა ძენი,
დასაბამითვე არ იციან რა არს მშვიდობა,
იკმარე საღმრთოდ მათ პატიჟნი და სისხლის ძღვენი,
თუ რამ შეგცოდეს შეისყიდეს ტანჯვით შენდობა.
მოჰმადლე ქართველს ქართველის ნდობა და სიყვარული
და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული.*

პოემის აღნიშნული მონაკვეთი შემთხვევით არ გაგვხვებია; ქართველს, უპირველესად, „ქართვის ნდობა და სიყვარული“ ესაჭიროება, რათა დარღვეული მამული აღადგინოს და გააერთიანოს. ამიტომ მოსწავლეებმა ფილმის ბოლო ნაწილში თანამედროვე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ამსახველი ფოტოები გამოიყენეს. თუმცა ფილმის ფინალი ოპტიმისტურია: ახალგაზრდები ეროვნული სამოსით და პატარები წამოაყენებენ შავებში ჩაცმულ ადგილის დედას და ნუგეშად ევლინებიან სრულიად საქართველოს. მიუხედავად გადატანილი ქართველებისა, მომავალი ჩვენია!

სწორედ ეს არის ფილმის მთავარი სათქმელი.

აღსანიშნავია, რომ მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის გადაღების ტექნიკური მხარე ასევე მოსწავლეებმა უზრუნველყვეს. მათ შორის ერთ-ერთი განსაკუთრებით დაინტერესებულია ამ საქმით.

სულ პროექტის განხორციელებას დასჭირდა ორი თვე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ოკუპაციის დღე- 1921წლის 25 თებერვალი- <https://www.myvideo.ge/v/2026414>;
2. გახსოვდეს შენი ისტორია!25თებერვალი 1921 წელი- <http://www.newposts.ge/?id=7894>
3. February 25 - Day of Soviet Occupation of Georgia - documentary movie (2013)- <https://www.youtube.com/watch?v=OuKL-ViG2W4>
4. https://www.google.com/search?q=ოციანი+წლების+თბილისი+პარლამენტის+ბიბლიოთეკა&client=opera&hs=m5g&source=lnms&tbm=isch&sa=X&ved=0ahUKEwjPiP36wJ3KAhUI3SwKHd1cBCQQ_AUIC5gC&biw=1242&bih=539#imgdii=ghk5VxTfuRMXgM%3A%3Bghk5VxTfuRMXgM%3A%3BK5MTwQG7_ofGbM%3A&imgrc=ghk5VxTfuRMXgM%3A
5. https://www.google.com/search?client=opera&hs=3UM&biw=1242&bih=539&tbm=isch&sa=1&q=დუქნები+თბილისში&oq=დუქნები+თბილისში&gs_l=img.3...7828.37360.0.39081.0.0.0.0.0.0.0.0...0...1c.1.64.img..0.0.0.1QjAc5Czrj8#imgdii=KRC9DPAkvUjYcM%3A%3BKRC9DPAkvUjYcM%3A%3B5x6GnCkwp5TuJM%3A&imgrc=KRC9DPAkvUjYcM%3A
6. [https://ka.wikipedia.org/wiki/რუსეთ-საქართველოს_ომი_\(1921\)](https://ka.wikipedia.org/wiki/რუსეთ-საქართველოს_ომი_(1921))
7. <http://www.newposts.ge/wap.php?ID=7894>